



# ინკლუზიური სკოლამდელი განათლება სამაგალითო შემთხვევები

პროექტი: „მულტიდისციპლინური გუნდი ინკლუზიური  
სკოლამდელი განათლებისათვის“



საქართველოს  
პორტივის ასოციაცია



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION  
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

საქართველოს პორტივის ასოციაცია მადლობას უხდის

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს

საგანმანათლებლო ინიციატივების ცენტრს

თბილისის ბაგა-ბალების მართვის სააგენტოს

N 16, 160, 100, 117, 92, 23, 136, 43, 173 ბაგა-ბალებსა და ბაგა-ბაღ „ჩიორას“ პროექტის პარტნიორობისათვის. პროექტის წარმატება, პირველ რიგში, ამ ბაღებში მომუშავე ადამიანების თავდადებული შრომის შედეგია.

განსაკუთრებული მადლობა პროფესორ შიმუს ჰეგარტის ფასდაუდებელი ცოდნისა და გამოცდილების გულითადად გაზიარებისათვის.

შემთხვევებზე მუშაობდნენ სხვადასხვა ბაღებში მომუშავე აღმზრდლები და სპეციალური განათლების პედაგოგები: სილვა ანდიაშვილი, ვერა ფავლენიშვილი, მაკა შანიძე, თამარ ჩუბინიძე, ნინო კილასონია, ნატალია საიაშინა, ბელა ჯოხაძე, ნათია მარგებაძე, მანანა ხუციშვილი, ლია ბუთხუმი, თეა მაკალათია, და პორტივის მულტიდისციპლინური გუნდის წევრები: სოფიო გოცირიძე, ნინო გულიაშვილი, თამარ სალინაძე.

პროექტის ხელმძღვანელები: ხათუნა დოლიძე, ნინო ცინცაძე

ფოტო: ლევან ხერხეულიძე

ფოტოებზე არ არიან გამოსახული ის ბავშვები, რომელთა შესახებაც წიგნში თხრობა მიმდინარეობს

ყველა უფლება დაცულია

# მულტიდისციპლინური გუნდი ინკლუზიური სკოლამდელი განათლებისათვის

## შესავალი

უკვე ორი წელია საქართველოს პორტიჯის ასოციაცია, ფონდ ღია საზოგადოების (OSI) მხარდაჭერით, ახორციელებს პროექტს „მულტიდისციპლინური გუნდი ინკლუზიური სკოლამდელი განათლებისათვის“. პროექტის პარტნიორები არიან: თბილისის ბაგაბალების მართვის სააგენტო, საგანმანათლებლო ინიციატივების ცენტრი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ორწლიანი მუშაობის დასრულებისას შეგვიძლია ვთქვათ, რომ თბილისში არსებობს 10 ბაღი, სადაც ყველა თანამშრომელმა გაიარა ინტენსიური ტრენინგები და იცის, რა პოლიტიკა აქვს მის ბაღს ინკლუზიურ სწავლებასთან მიმართებაში და რა პროცედურებია გასაავლელი თითოეული ბავშვის შემთხვევის სამართავად.

არსებობს გამოცდილი პროფესიონალებით დაკომპლექტებული გუნდი, რომელსაც შეუძლია მიმართოს ნებისმიერმა ბაღმა რთულ შემთხვევებში დანშარების აღმოსაჩენად. მომართვიანობის რიცხვმა ნელა, მაგრამ თანმიმდევრულად იმატა.

გაჩნდა ორი ფორუმი, სადაც თბილისის ყველა ბაღის თანამშრომელს აქვს ერთმანეთთან გამოცდილების გაზიარებისა და ახალი ცოდნის შექმნის საშუალება: ბაგა-ბაღებში ინკლუზიის საკითხებზე პასუხისმგებელი პირების რეგულარული შეხვედრები და საქართველოს პორტიჯის ასოციაციის ვებ-გვერდი [www.portage.ge](http://www.portage.ge) სადაც თარგმნილი და ატვირთულია თანამედროვე ლიტერატურა და საიტის წევრებს ერთმანეთთან აზრის გაცვლა-გამოცვლის შესაძლებლობა აქვთ.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სკოლამდელ და ინკლუზიური განათლების ცენტრისა და საქართველოს პორტიჯის ასოციაციის თანამშრომლობამ შედეგად გამოიღო ის, რომ ბაგაბალების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად, უნივერსიტეტში შეიქმნა ინტენსიური გრძელვადიანი სასერთიფიკატო კურსი, რომელის სკოლამდელი განათლების ყველა ასპექტს მოიცავს.



15 სტუდენტი ჩაერთო პრაქტიკულ მუშაობაში თბილისის სხვადასხვა ბაღებში და ასევე მონაწილეობა მიიღო კვლევაში, რომელიც ბაღებში ინკლუზიური სწავლების პრაქტიკას იკვლევდა.

ჩვენთვის კი ყველაზე სასიხარულოა ის, რომ ამ წლების მანძილზე თბილისის ბაგა-ბაღებში განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების რიცხვმა საგრძობლად იმატა და ასევე იმატა მათთან წარმატებულად მუშაობის შემთხვევებმაც.

ქვემოთ წარმოგიდგინებ რამდენიმე შემთხვევას, რომელიც საქართველოს პორტივის ასოციაციის მულტიდისციპლინური გუნდის წევრების, ბალის სპეციალისტებისა და აღმზრდელების ერთობლივი მუშაობის შედეგია.

ეს არის პირველი მცდელობა აგველწერა აღმზრდელთა და ბალის სპეციალისტთა გამოცდილება განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვთან მუშაობისას. შემთხვევები ერთმანეთისგან შინაარსით, სტრუქტურითა და ზომით განსხვავდება, რადგან ჩვენ არ გვინდოდა აღმზრდელები რაიმე მზა ჩანჩოთი შეგვეზღუდა.

ზოგიერთი შემთხვევის ავტორი ბალის აღმზრდელია, ზოგიერთისა კი ბაღში მომუშავე სპეციალური განათლების პედაგოგი. ყველა შემთხვევის განვითარებაში მონაწილეობდა პორტივის მულტიდისციპლინური გუნდის რომელიმე წევრი. ეს მაგალითები მოგვითხრობს რეალობაში არსებულ შემთხვევათა მრავალფეროვნებაზე და პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა გზებზე.

ბროშურაში აღწერილი ზოგიერთი შემთხვევა პროექტში ჩართული 10 საპილოტე ბაღიდანაა, ზოგი კი სხვა ბაღებიდან. კონფიდენციალობის დასაცავად, ბავშვების სახელები შეცვლილია და მონათხრობის ქვეშ ავტორის სახელი და ბაღი მითითებული არ არის.



## ნიკო, 6 წლის

2 წლის წინ ჩემს ჯგუფში მოიყვანეს აუტისტური სპექტრის მქონე ბიჭი. სულ ჯგუფის ოთახში დადიოდა, არც ჯდებოდა სკამზე და მუდმივად გაურკვეველ ბგერებს გამოსცემდა, არ ინტერესდებოდა სათამაშოებით, არც ბავშვებთან თამაში სურდა. ბაღში ყოფნის დროს არ ჭამდა საჭმელს, ვერ იჭერდა ფანქარს, (მუჭით იღებდა და ისევ უკან აგდებდა).

თავიდან ძალიან ვნერვიულობდი მის ამგვარ ქცევაზე და გამუდმებულ ხმებზე; მეშინოდა, რომ სხვა ბავშვებზე მის ქცევას გაიმეორებდნენ და ჯგუფის მართვას ვერ შევძლებდი. გადავწყვიტე დახმარებისათვის სპეციალისტისათვის მიმემართა. საქართველოს პორტიჯის ასოციაციის მულტიდისციპლინური გუნდის წევრმა მირჩია, რომ სიტუაციისათვის უფრო საქმიანად და ნაკლებ ემოციურად შემიხედა და პირველ ეტაპზე ბავშვს დაგვირგვინებოდა და მასთან მუშაობის სტრატეგია შემდეგ ერთად განგვესაზღვრა.

დაკვირვებისას არ ვაქცევდი ყურადღებას მის ქაოსურ სიარულს ჯგუფში, არც მის გამოცემულ ხმებზე ვაკეთებდი რაიმე კომენტარს, ალბათ, მე რომ ყურადღებას არ ვაქცევდი, ბავშვებმაც არ გაამახვილეს მის ქცევაზე ყურადღება და ჯგუფში პრობლემები არ გვექონია.

დაკვირვების შედეგად, აღმოვაჩინე რომ, ბავშვს მოსწონდა მოძრავი სათამაშოები, დიდი კუბურები, ლაბირინთებში გაძრომა და ვცდილობდი, ჯგუფის აქტივობები ისე დამეგეგმა, რომ ნიკოც ცოტა ხნით მაინც დაინტერესებულიყო და ჩართულიყო. ასევე ინტერესდებოდა, თუ ჯგუფში რაიმე ცდას ვატარებდით და ამ დროს ბავშვებს აკვირდებოდა.

ერთხელ ჯგუფის აქტივობა გვექონდა, უნდა დაგვეწებებინა საქართველოს დროშა. შევთავაზე, რომ მაგიდასთან დამჯდარიყო, მაგრამ არ მოინდომა. ამიტომ გადავწყვიტე ყურადღება არ მიმიქცია მისთვის, თუმცა სამუშაო მასალა მაინც დაგუდე მაგიდასთან, მე კი მოშორებით დავჯექი და სხვა ბავშვს ვეხმარებოდი. ნიკო ცოტა ხანში მივიდა მაგიდასთან, დაჯდა და დაიწყო დაწებება დამოუკიდებლად. მისმა ნამუშევარმა მე და ბავშვები ისე გაგვახარა, რომ ამის შემდეგ, ნიკო მუდმივად ცდილობდა მისი ნამუშევარი ეჩვენებინა და ელოდებოდა ჩემს კომენტარს.

ამის შემდეგ მშობელთან, ბაღის ფსიქოლოგთან და პორტიჯის

მულტიდისციპლინური გუნდის წევრთან ერთად შევთანხმდით ნიკოს განვითარების ინდივიდუალურ მიზნებზე და ამ მიზნის განხორციელებაზე ნაბი-ნაბიჯ ვმუშაობდით.

ნიკომ ცოტა ხანში დაიწყო ბაღში საჭმლის ჭამა, ჯერ ჩემი დახმარებით და შემდეგ კი დამოუკიდებლად. თანდათან ეჩვეოდა ფანქრის ჭერას და ჯღაბნას. ძალიან გამიხარდა, როდესაც ჩვენი ნაბიჯ-ნაბიჯ მცდელობის შედეგად, ადამიანის დახატვა ისწავლა; ხატავდა თავის თავს და თავადვე იყო კმაყოფილი თავისი ნამუშევრით. რადგან ნიკო არ ცდილობდა ბავშვებთან კომუნიკაციას, მუდმივად ვცდილობდი დავხმარებოდი ამაში, ვთამაშობდით ისეთ თამაშებს, რომ ბავშვებთან ქონოდა კონტაქტი, ცოდნოდა მათი სახელები, მათთან ერთად ვაძენებდით კუბურებს რიგის დაცვით, ვძვრებოდით რგოლებში, შემდეგ უკვე ის ამბობდა, თუ ვისი ჯერი იყო, სახელებით. ვცდილობდი, ბავშვებთან მის ძლიერ მხარეებზე გამემახვილებინა ყურადღება, როდესაც სუფთად და კონტურის დაცვით ჭრიდა მაკრატლით, მუდმივად აღვნიშნავდი ხოლმე.

როდესაც ნიკო ბაღში მოვიდა მხოლოდ ბებოს სახელი იცოდა, ახლა ბევრი სიტყვა იცის, რომლებსაც დამარცვლით წარმოთქვავს. დამოუკიდებლად იბანს ხელებს, ცნობს ხუთამდე ციფრს და გადაითვლის საგნებს. ჩემს კმაყოფილებას ემატებოდა მშობლის კმაყოფილება და იმ მიღწევების აღნიშვნა, რაც ბაღში შევძელით.

ძალიან ბევრი რამ ვისწავლე ამ წლების განმავლობაში. ნიკოსთვის გამარტივებული ნებისმიერი აქტივობა, ჯგუფის სხვა ბავშვებისთვისაც უფრო ადვილი და მეტად სახალისო ხდებოდა. თანდათან სულ უფრო უკეთ ვხვდებოდი, რა იქნებოდა მისთვის უკეთესი და რა შეიძლებოდა აგველო მიზნად; ეს ჩემს პროფესიულ განვითარებაზეც მეტყველებდა და ყველაზე მეტად მახარებდა.

*ბაღის აღმზრდელი*

## ბიბო, 4 წლის

ვიგოს საბავშვო ბაღში შევხვდი. თავის ბავშვური მიაბიჯებით სიყვარულს ასხივებდა. ცოტათი დაბნეული იყო, საოცრად ცნობის-მოყვარე, უამრავ კითხვას სვამდა და აინტერესებდა, რატომ არ გავდა სხვებს, ზოგჯერ ეგონა, რომ ყველა მისკენ იშვერს თითს. მას, ვიზუალურად გამობატული თვალის ბადურის დაავადება ჰქონდა, რის გამოც მხედველობის პრობლემები ჰქონდა. გავიფიქრე, რომ მას ჩემი თანაგრძნობა და შეცოდება კი არა, თანადგომა სჭირდებოდა.

ბაღის ფსიქოლოგთან ერთად დავგვემეთ ყველა ის აქტივობა, რაც მის სხვადასხვა უნარების განვითარებას შეუწყობდა ხელს. მაგრამ, პირველ რიგში, შევთანხმდით იმაზე, როგორ უნდა მიგვეწოდებინა ინფორმაცია ვიგოს მდგომარეობის შესახებ სხვა ბავშვებისათვის, რადგან ისინი ამით ინტერესდებოდნენ. როგორც აღმზრდელის, ეს ჩემი პასუხისმგებლობა იყო.

ბავშებს დავათვალე რეზინით სხვადასხვა საბავშვო სურათები, სადაც განსაკუთრებული საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები იყვნენ წარმოდგენილი. ვესაუბრე მრავალფეროვნებასა და ჩვენს განსხვავებულობაზე. ჩვენ ყველანი განვსხვავდებით ერთმანეთისგან გარეგნობით, სხვადასხვა შესაძლებლობებით. განსაკუთრებულ ყურადღებას ვამახვილებდი გარეგნულ მახასიათებლებზე, თმის, თვალის, კანის ფერზე, ფორმაზე და ა.შ.

ჩვენმა ძალისხმევამ შედეგი გამოიღო, როდესაც მ.შ ჯგუფის ოთახში შემოდით ბავშვები მას ჩვეულებრივად იღებდნენ, არავის გაუმახვილებია ყურადღება მის გარეგნულ განსხვავებაზე. ცდილობდნენ მასზე ეზრუნათ, ეხმარებოდნენ გადაადგილებაში.

*ბაღის აღმზრდელი*



## ლევანი, 4 წლის

ლევანი საბავშვო ბაღში დადის 2013 წლის ოქტომბრიდან, ასევე ჩართულია ადრეული განვითარების პროგრამაში.

ლევანს ძალიან არ უნდოდა დედის გარეშე ბაღში დარჩენა. პქონდა სტერეოტიპული და მასტიმულირებული მოქმედებები: მუდმივად ეჭირა ხელში სათამაშო და აქნევდა. გამოსცემდა ხმებს.

ჯგუფში ყოფნისას მოსწონდა მუსიკის და ფიზიკური აქტივობები (ფეხების ბაკუნი, ტაძის დაკვრა). უჭირდა ყურადღების კონცენტრაცია ისეთი აქტივობების დროს როგორცაა წიგნის კითხვა, სამაგიდო თამაშები (ლოტო, დომინო), ძერწვა, არ ჯდება სკამზე, იწყებდა ტირილს, ყვირილს. ადრეული განვითარების სპეციალისტის გადმოცემით მოსწონდა დასურათებული წიგნების დათვალიერება და თითებით ხატვა, თუმცა ჯგუფში შეთავაზებისას ერთჯერადად დათვალიერების შემდეგ ტოვებდა წიგნს და მიდიოდა, აპროტესტებდა გუაშის გამოყენებით თითით ხატვას. უარყოფდა უფროსის ხელის მოკიდებას (ფიზიკურ დახმარებას), ამას გამოხატავდა ტირილით, ყვირილით.

კარგი იყო, რომ ლევანთან მუშაობის დაგეგმვაში ჩაერთი მშობელიც, ბაღის სპეციალური განათლების პედაგოგიც, პორტივის მულტიდისიპლინური გუნდის წევრიც და დრეული განვითარების სპეციალისტიც, რომელიც ბავშვთან სახლში ინდივიდუალურად მუშაობდა.

ლევანთან მუშაობა დაიგეგმა მისთვის სასურველი ჯგუფური აქტივობებით, რომელთა განმტკიცება საშუალებას მოგვცემდა ეტაპობრივად გაგვებარდა ჯგუფში ყოფნის დრო და ბაღის რუტინასთან მორგება. ბაღში მისი ყოფნის ხანგრძლივობა დასაწყისში განისაზღვრა მცირე დროით, ორი საათით, ჩვენი გრძელვადიანი მიზანი ამ დროის გაზრდა იყო.

თავდაპირველად, მშობელთან ერთად, ბუსტად განვსაზღვრეთ ის აქტივობები, რომელშიც ლევანი მიიღებდა მონაწილეობას 2 საათის მანძილზე, ნიკოლოზისათვის სპეციალურად შევქმენით ვიზუალური ცხრილი, სადაც ნათლად იყო გამოსახული ის აქტივობები - მუსიკა, ვარჯიში, კუბიკებით თამაში, რომელშიც ის მიიღებდა მონაწილეობას.

რადგანაც ლევანს მოსწონდა მუსიკის აქტივობა, მისი ბაღში მოსვლისას მუსიკის აქტივობა დაგვეგმეთ, შემდეგ ფიზიკური აქტივობა, სადაც ბავშვები ლექსებთან ერთად ასრულებენ სხვადასხვა მოძრაობებს და კუბურებით თამაში. მასთან მუშაობისას ფიზიკური დახმარებისა და ბარეთებით ვიზუალიზაციის სტრატეგიას ვიყენებდით.

სპეციალისტების რჩევით, ყოველი აქტივობის დასრულებისას ნიკოლოზს ხელის ხელზე მოკიდებით ვიზუალური ცხრილიდან ვახსენებინებდი შესაბამის სურათს და ვუხმოვანებდი შემდეგ აქტივობას.

ამჟამად ლევანის ბაღში ყოფნის ხანგრძლივობა შეადგენს 4 საათს, ამ პერიოდის განმავლობაში ნიკა არ აპროტესტებს ჯგუფში ყოფნას, დედის გარეშე დარჩენას და გარემოს ცვლილებას (მუსიკის ოთახში გასვლა, ეზოში ჩასვლა), შემცირებული აქვს სტერეოტიპული და მასტიმულირებელი მოქმედებები.

ლევანი ათვალთვრებს დასურათებულ წიგნებს ნებისმიერი ნახატებით, მიუთითებს ნაცნობ საგნებზე და ფიზიკური მოძრაობით „ახმოვანებს“ მას (მაგ: შამპუნის დანახვისას ბანაობის მსგავსი მოძრაობები. სავარცხელი- თმის დავარცხნის მსგავსი მოძრაობები), მიუთითებს ნაცნობ ცხოველებზე (ცხენი, ძაღლი, უყვარს ტელეფონით ფოტოების გადაღება და მისი დათვალთვრება. არ აპროტესტებს გარემოს ცვლილებას, ჯგუფიდან გასვლას, უყვარს მუსიკის ოთახში გასვლა. თამაშობს თოჯინებით („აჭმევს საჭმელს“, „აძინებს“). თამაშის დროს, უფროსის დახმარებით, იცავს რიგს (მატარებლობანას, ხელების დაბანის დროს).

*ბაღის აღმზრდელი*

## ლადო, 5 წლის

2013 წლის სასწავლო წელი იწყებოდა, დირექტორის მაგიდაზე უამრავი ბავშვის საბუთები ელაგა. აღმზრდელებმა მივიღეთ ინფორმაცია იმაზე რომ, ბაღში უნდა მოსულიყო, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვი. მისი დიაგნოზი იყო ცერებრალური დამბლა და გონებრივი ჩამორჩენა.

ჩვენმა ბაღის ფსიქოლოგმა ორი აღმზრდელი ამოარჩია, ან ჩემთან უნდა ჩაერიცხათ ან მასთან. მაშინვე გამიჩნდა სურვილი ეს ბავშვი ჩემს ჯგუფში მოხვედრილიყო და ასეც მოხდა. არ ვიცი ბუსტად, რა იყო ჩემი ამ სურვილის მიზეზი. ალბათ, ის რომ, მომწონდა სიძნელეებთან შეჭიდება და ხშირად უწყობდი ჩემ თავს გამოცდებს, შევძლებდი თუ არა მე ამ სიძნელის გადალახვას. და კიდევ, ბუსტად ამ დროს ჩემს 4 წლის ბიჭსაც ჰქონდა პრობლემები. მან მოულოდნელად დაკარგა მეტყველება. როგორც ექიმმა გვითხრა, შიმის გამო. ჩვენ ვმკურნალობდით. მე მის ავადმყოფობას ძალიან განვიცდიდი, თუმცა მალე გამოჯანმრთელდა.

როცა ლადო მოვიდა წინასწარ ვიცოდი რა სიძნელეების გადალახვაც მელიოდა. ის არ თამაშობდა ბავშვებთან, ვერ ცნობდა ფერებს, არ იცოდა თვლა, ვერ ხატავდა მარტივ ფიგურებს, უჭირდა სიარული, ვარდებოდა სკამიდან, არ გამოხატავდა საკვების მიღების სურვილს, არ ითხოვდა ტუალეტში შეყვანას, ეცვა პამპერსი. არ იცოდა მისალმება, დამშვიდობება, რიგის დაცვა, დაუკითხავად იღებდა სხვის ნივთებს და არ იხდიდა ბოდიშს. უჭირდა კიბეზე ასვლა და ჩამოსვლა დახმარების გარეშე. მეტყველებდა მოკლე ფრაზებით. მოსწონდა ბურთის თამაში და მუსიკის გაკვეთილები. დღის განმავლობაში ხშირად კითხულობდა მუსიკის მასწავლებელს. აინტერესებდა როდის მოვიდოდა, როდის წავიდოდა, როდის შევიდოდა დარბაზში. შეეძლო ჭამა დამოუკიდებლად მაგრამ არ ვაცდიდი, თავიდან ასე მეგონა, რადგან ჩემი ხელით ვაჭმევდი და ყველაფერს ჩემი ხელით გავუკეთებდი, ამით დავეხმარებოდი. თურმე ვცდებოდი. ამის გაცნობიერებაში და მასთან სამუშაოდ რეალური გეგმების ჩამოყალიბებაში ძალიან დამეხმარა ჩვენი ბაღის ფსიქოლოგი და პორტიჯის სპეციალისტი. გუნდურად უკეთ ვიმუშავეთ.

პირველ მიზანს, ბაღში მოსვლისას და წასვლისას ბავშვებს რომ მისალმებოდა და დამშვიდობებოდა, 1 თვეში მივაღწიეთ, ამაში დედაც ძალიან გვეხმარებოდა. ტუალეტის ჩვევების დაუფ-

ლების პერიოდი უფრო გაგვიხანგრძლივდა, ბევრი ძალისხმევა დავხარჯეთ, დედამ მისი საყვარელი სტაფილოსფერი ქოთანიც მოიტანა ბაღში და გაბაფხულისთვის პამპერსიც გავხადეთ. რადგან სკოლაში უნდა წასულიყო დავისახეთ ისეთი მიზნებიც, როგორიც იყო: ფერების გარჩევა და დასახელება, გეომეტრიული ფიგურების გარჩევა და დასახელება, 5-მდე თვლა. ბოგი შევძელით ბოგი ვერა. არ დამიკლია მისთვის ჩემი ძალა და ენერჯია.

თუშცა ერთ-ერთ ტრენინგზე გვითხრეს, როცა განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებთან მუშაობთ, ნუ ჩათვლით რომ თქვენ განსაკუთრებით კეთილები ხართ და სიკეთეს აკეთებთო. უნდა იცოდეთ, რომ ეს თქვენი მოვალეობააო. ძალიან ბევრი ვიფიქრე ამაზე. ხან დავეთანხმე ამ აზრს, ხან არა. მაინც, მგონია, რომ მხოლოდ მოვალეობა არ არის საკმარისი, რომ გულით აკეთო ასეთი საქმე.

*ბაღის აღმზრდელი*

## ნატა, 5 წლის

როდესაც მომართვის საფუძველზე, ბაღში მივედი, პირველ რიგში გავესაუბრე მშობელს, აღმზრდელს, ფსიქოლოგს, დავაკვირდი ბავშვს ბაღის გარემოში.

ნატა უკვე ერთი წელია დადიოდა ბაღში, თუმცა, დროის ძირითად ნაწილს ატარებდა ფსიქოლოგის რესურს ოთახში, სადაც მას ერთი საათის განმავლობაში უტარდებოდა წინასწარ დაგეგმილი ინდივიდუალური მეცადინეობა, რის შემდეგაც სურვილისამებრ გადაადგილდებოდა საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე, შედიოდა დარბაზში, სვადასხვა ჯგუფში. აპროტესტებდა საკუთარ ჯგუფში შესვლას. ბაღში ყოფნის დროს მასთან მუდმივად იმყოფებოდა დედა, თუმცა დედას უჭირდა მისი ქცევის გაკონტროლება.

ვინაიდან ნატას უჭირდა ჯგუფის გარემოში აქტივობებში ჩართვა, აპროტესტებდა ჯგუფში შესვლას, სასურველი იყო, ჯგუფში ადაპტაციისთვის საბავშვო ბაღში მისი ყოფნის ხანგრძლივობა დასაწყისში (ორი კვირის განმავლობაში) შეგვემცინებინა. სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობა დაიგეგმა მისთვის სასურველი ჯგუფური აქტივობებით, რომელთა განმკვიცვებაც საშუალებას მოგვცემდა ეტაპობრივად გაგვეზარდა ჯგუფში ყოფნის დრო.

წინასწარ დაგეგმეთ აქტივობები, რომლებსაც ერთი საათის განმავლობაში შევთავაზებდით ნატას, ასევე წინასწარ შეუთანხმეთ მშობელს ბავშვის ბაღში მოსვლის და წასვლის დრო და მუშაობის გეგმა.

რადგანაც ნატას მოსწონს რესურს ოთახში ყოფნა, სასურველი იყო დაგეგმილიყო პირველი 15-20 წუთით ჯგუფური თამაში ბავშვთა მცირე ჯგუფში (4-5 ბავშვი), რომელიც ჯერის, რიგის დაცვასთან იქნებოდა დაკავშირებული, რათა ბავშვი იმპულსის შეკავებას, თამაშის წესების დაცვას მიჩვეოდა.

რესურს ოთახში თამაშის შემდეგ ბავშვებს ვუბნებით, რომ მიდიან ჯგუფში, სხვა ბავშვებთან ერთად ჯგუფში ასვლას ნატა ნაკლებად აპროტესტებს. თანაც რესურს ოთახში ვიზუალური ცხრილით წინასწარ ვაჩვენებდით ჯგუფში ჩასატარებელ აქტივობებს.

აღმზრდელთან ერთად, წინასწარ დავგეგმეთ ჯგუფში ჩასატარებელი, ნატასთვის სასურველი აქტივობები (ბურთის გავრეზა, ძერწვა) თითოეული 15-20 წუთის ხანგრძლივობით.

დარჩენილი დრო ჯგუფის წევრებთან ერთად ეთმობოდა დარბაზის აქტივობებს, რომლის დასრულების შემდეგ ნატა სახლში მიდიოდა.

ნელ-ნელა ნატა მიეჩვია კოვბით/ ჩანგლით საკვების ჭამას, ის მიხვდა, რიგში დგომას მაგარებლობანას, ბურთით თამაშის დროს. ამ დროისთვის მისი ბაღში ყოფნის დრო 2 საათამდე გაიზარდა.

მალე მის სასწავლო მიზნებს კატეგორიზაცია და რამდენიმე ფერის ცნობაც დაემატა.

სასწავლო წლის დასასრულს ნატა უკვე 4 საათი რჩებოდა ჯგუფში. ამ დროის უმეტეს ნაწილს ნატა ჯგუფში ატარებდა, თუმცა ბაღის სპეციალური განათლების პედაგოგი მასთან ინდივიდუალურ და ჯგუფურ თამაშებს ატარებდა რესურს ოთახში. ის ნატას აჩვენებდა ბაღის დღის რეჟიმს (ვიზუალური დღის რეჟიმის გამოყენებით), რათა აღსაზრდელს სცოდნოდა აქტივობების თანმიმდევრობა. გარდა ამისა, რესურს ოთახში მუშაობა მიმდინარეობდა ქცევის წესების გაცნობასა და სასურველი ქმედებების ათვისებაზე. ნატა ეცნობოდა ემოციებს, რაც ეხმარებოდა მას გაეგო, როდის წყინთ, როდის ბრაზდებიან, როდის არიან ბედნიერი ადამიანები და რა იწვევს ამ ემოციებს მათში.

წლის ბოლოს ნატა დილის შეხვედრაზე იჯდა თანატოლებთან ერთად, უსმენდა აღმზრდელს და ვიზუალური მასალის დახმარებით აღიქვამდა თემას, ისწავლა თანატოლებთან თამაში, ნივთების განაწილება/თხროვნა, მათთან ერთად აქტივობების განხორციელება, იცავდა ჯგუფის წესებს, შეეძლო შეესრულებინა მოკლე ინსტრუქციები და ვალენტინები უფროსების მითითებების ფონზე. ჩაერთო ცეკვისა და მუსიკის აქტივობებში, იდგა რიგში, ცდილობდა ვარჯიშების გამეორებას, უსმენდა მუსიკის მასწავლებელს და იჩენდა სურვილს ჩართული ყოფილიყო ასეთი სახის აქტივობებში. სამომავლოდ, დაგეგმილია მასთან მუშაობის გაგრძელება, მისი ბაღში ყოფნის დროის გახანგრძლივებისა და სკოლისათვის მოსამზადებლად.

*პორტიჯის მულტიდისციპლინური გუნდის წევრი*



## ნიმო, 4 ნლის

ჩვენს ბაღში უკვე მეორე წელია დადის განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვი დიაგნოზით მიკროცეფალია, ეპილეფსია. მიუხედავად იმისა რომ ბავშვი ჩვენამდე ერთი წელი დადიოდა სხვა ბაღში შეჩვევის პერიოდი მისთვის მაინც რთული აღმოჩნდა, რადგან ავლენდა პრობლემურ ქცევებს: ყვიროდა, კბენდა ბავშვებს, არ უნდოდა ჯგუფში გაჩერება და კარებისკენ ვარბოდა. ვერ მეტყველებდა, არ ასრულებდა ინსტრუქციას. თავდაპირველად, ბავშვების უმრავლესობა ვარბოდა მასთან თამაშს. იყო პრობლემები სხვა ბავშვების მშობლებთანაც, მათ არ უნდოდათ ნინო ყოფილიყო მათ შვილებთან ჯგუფში. იყო პრობლემები აღმზრდელებთანაც. ისინი ფიქრობდნენ, რომ ნინოს ჯგუფში სჭირდებოდა ერთი ადამიანი სისტემატიურად. აღნიშნავდნენ, რომ მთელი ჯგუფის აქტივობებს ვერ მორგებდნენ ნინოსთვის განკუთვნილ აქტივობას. მე კი ვცდილობდი ამეხსნა მათთვის, რომ ნინოს აქტივობა უნდა მორგებოდა დანარჩენი ბავშვებისთვის დაგეგმილ აქტივობებს. ჩემთვის როგორც ბაღის სპეციალური განათლების პედაგოგისათვის, ცხადი გახდა, რომ უნდა ყველა ამ მიმართულებით უნდა მემუშავა.

პირველ შეხვედრაზე, როდესაც ნინოს დედა შეხვდა ბაღის აღმზრდელებს მოვიწვიეთ ბაღების დამხმარე გუნდის სპეციალიტიც, რომელმაც აღმზრდელებთან ისაუბრა იმაზე, თუ როგორ უნდა მოექცნენ ზოგადად იმ შემთხვევაში, როცა რომელიმე ბავშვს გულყრის შეტევა დაემართება და რა უნდა გაითვალისწინონ კონკრეტულად ნინოს შემთხვევაში.

რახან პირველ ეტაპზე ხშირად აწყობდა ტანტრუმებს, ცდილობდა ოთახიდან გასვლას და ყრიდა სათამაშოებს, გადაცწყვიტეთ მთელი დღე უწყვეტად დაკვირვებოდათ, დაკვირვებას ბაგა-ბაღების დამხმარე პორტიჯის გუნდის სპეციალისტი აწარმოებდა:

*პორტიჯის გუნდის წევრის ჩანაწერები ფონური დაკვირვებიდან*

**ბაღში მოსვლა** – დედას მიანიშნებს რომ არ უნდა ბაღში (აქნევს თავს) თუმცა შემოდის ჯგუფში და არ ეცირება დედას. თუ დაინახა რომ დედა პოლში დგას ალებს კარს და ვადის, უდიმის, ეკონტაქტება. უფროსის მითითებით (ხელის მოკიდებით) ისევ ბრუნდება. მას შემდეგ რაც დააფიქსირა, რომ დედა ვარეთ აღარ არის, არ აქვს ვარეთ გასვლის მცდელობა.

**საუბმე** – საუბმის დროს მასწავლებლის დახმარებით ჭამს,